

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო (5.6.13)

ქ. ბათუმი

07 ოქტომბრი 2011 წელი

გადაწყვეტილება № 1

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის; აკადემიური საბჭოს 2011 წლის 03 ოქტომბრის №70 დადგენილებისა და საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესში:

ა) პირველი მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „სსიპ-ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენ-დია“) გამოიწვევს პროფესიული და აკადემიური განათლების ორივე დონის იმ სტუდენტთა წახალისებისათვის, რომლებიც სწავლობენ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) და არიან გამორჩეულნი სწავლაში მიღწეული წარმატებებით, აგრეთვე აქტიური სამეცნიერო საქმიანობით.“

ბ) პირველი მუხლის მე-5 პუნქტიდან ამოღებულ იქნას მინიჭებული სტიპენდიის ხანგრძლივობა და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სტიპენდია გაცემა სემესტრული შედეგების მიხედვით.“

გ) მეორე მუხლის მეხუთე პუნქტში განცხადებების მიღების ვადა ნაცვლად 20 კალენდარული დღისა შემცირდეს 10 კალენდარულ დღემდე.

დ) მე-4 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტად „პროგრამული დაფინანსების მქონე სტუდენტებს ეკრძალებათ კონკურსში მონაწილეობა.“

ე) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვასა და შეფასებას ახორციელებს კომისია საბუთების მიღების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში და გადაწყვეტილებას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერი:

თამილა მეიშვილი